სსიპ
საქართველოს დაზღვევის
სახელმწიფო
ზედამხედველობის
სამსახური

LEPL
INSURANCE STATE
SUPERVISION
SERVICE OF GEORGIA

N 929
21/11/2022

929-7-2-202211211806

მოქალაქე ნინის (პ/ნ 01027088611)

მობ.: 558365285

ელ. ფოსტა: foi+request-1166-8d[illegible]

ქალბატონო ნინი,

სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურმა (შემდგომ - სამსახური) განიხილა თქვენი 2022 წლის 20 ნოემბრის წერილობითი მომართვა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე. განგიმარტავთ, რომ სადაზღვევო პროდუქტების/პაკეტების შექმნას და შეთავაზებას ახორციელებენ სამსახურის მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო ორგანიზაციები და რეგისტრირებული სადაზღვევო ბროკერები, რომლებსაც „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით მიღებული აქვთ შესაბამისი საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება.

იმის გათვალისწინებით, რომ სადაზღვევო ორგანიზაციებს და სადაზღვევო ბროკერებს არ გააჩნიათ „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ვალდებულება, სამსახურს წარუდგინონ მათ მიერ შექმნილი ან/და შეთავაზებული სადაზღვევო პროდუქტების/პაკეტების შესახებ რაოდენობრივი მონაცემი, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს ასეთი ტიპის ინფორმაცია. რაც შეეხება, ფიზიკური პირის მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში შექმნილ „საკუთარი სადაზღვევო პაკეტის“ შესახებ ინფორმაციას, ასეთი სამსახურში დაცული არ არის.

ამასთან გაცნობებთ, რომ სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე შეგიძლიათ გაეცნოთ წლიურ და კვარტალურ სტატისტიკურ ინფორმაციას სადაზღვევო პოლისების რაოდენობაზე სადაზღვევო ორგანიზაციებისა და დაზღვევის სახეობების ჭრილში (იხ. ბმული https://www.insurance.gov.ge/ka/Statistics).

თქვენს მიერ გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია გამოგზავნილია შემდეგ ელექტრონულ საფოსტო მისამართზე: foi+request-1166-8d[illegible]

პატივისცემით,

ნინო ნიავაძე

ნ. ნიავაძე

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი